



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო  
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA**



KA060147852458916

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

# 4078

23 / მაისი / 2016 წ.

ა/ო „ მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელ  
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2016 წლის 05 მაისის 04/06-181 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ტერიტორიაზე უკანონო მშენებლობის ან/და გარემოსათვის ზიანის მიყენების ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 2015-2016 წლებში საჩივარი არ შემოსულა. თუმცა გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გადამოწმდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 დეკემბრის 2246 განკარგულების შესრულების მდგომარეობა, რაზეც გამოვლინდა წიაღით უკანონოდ სარგებლობის ფაქტი. კერძოდ, მოცემული განკარგულების საფუძველზე შპს „ფერი“ გათავისუფლდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცა უფლება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გველეთის მიმდებარედ მოეპოვებინა 50 000მ3 სასარგებლო წიაღისეული.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, შპს „ფერი“-ს წიაღით სარგებლობა განხორციელებული ჰქონდა დადგენილი სამთო მინაკუთვნის ფარგლებს გარეთ და ასევე დარღვეული ჰქონდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული გეოსაინფორმაციო პაკეტით დადგენილი ვალდებულება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალები განხილვის მიზნით გადაეგზავნა ყაზბეგის მაგისტრატ სასამართლოს, რომელმაც 2015 წლის 22 ივლისს #4-ა/10-15 დადგენილების შესაბამისად შპს „ფერი“ სცნო სამართალდამრღვევად, შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმა 1100 ლარის ოდენობით და დააკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის 1011,4 ლარის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის  
უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე  
პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი